დანართი №1

განცხადება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2020 წლის 22 ივნისს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 23 ივლისის 10:00 საათიდან, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114. სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: **chancellery@tsu.ge**.

5. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 29 ივლისის 18:00 საათი.

6. აკადემიური საბჭოს მიერ შემოსული განცხადებების განხილვის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 30 ივლისიდან 4 აგვისტომდე პერიოდი, ხოლო რექტორის არჩევის დღედ 2020 წლის 4 აგვისტო.

7. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები, ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებასა და შეკრებას, აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით. არჩევნების შედეგების შეჯამება შესაძლებელია ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მიმცემის სრულფასოვან იდენტიფიკაციას (მათ შორის პირადობის მოწმობის წარდგენით) და ხმის მიცემის სრულ ფარულობას.

8. რექტორის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N115/2016 დადგენილებით გათვალისწინებული არჩევის ვადის გასვლისთანავე.

9. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4–ზე;

ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.